საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახტაძე ამირან არჩილის ძე

ბახტაძე ამირან არჩილის ძე (25. IX. 1938, თბილისი –2014, იქვე), არქიტექტორი.

დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1963). მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტში“ (1963 – 76), „საქკვებმშენსახპროექტში“ (1981 – 83; ინ-ტის მთავარი არქიტექტორი) და სხვ. საქართვ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1974 – 80, 1988), 1990-იდან შემოქმედებითი გაერთიანების „საქარქიტ ფონდის“ დირექტორია.

ძრითადი ნამუშევრები: ტურისტული სასტუმრო ფასანაურში (1968; დ. კარსანიძესთან, დ. ცხაკაიასთან ერთად), თვალის სნეულებათა კლინიკური საავადმყოფო თბილისში (1980), სარეაბილიტაციო ცენტრი გაგრაში (1985; მ. ლაითაძესთან, ზ. მამალაძესთან, ვ. მიქელაძესთან, გ. ჭიაურელთან ერთად), საბავშვო ბაგა-ბაღი მ. ლერმონტოვის ქუჩაზე თბილისში (1988) და სხვ.

ს. კინწურაშვილი